ОЧрК 101981
2

სარგის კაკაბაძე.

კოსტანტინე VI, უცნობი ათენაზთა მეფე

ОК 10198/2 18397
8.5. 2015-18895

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, ა. მ. კერესელიძისა, ბრიბოედოვის ქ. № 34.
1912

კოსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე.

ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკის მიხედვით, როგორც ის იხსენიებს თავისს „უწყებულებაში მკითხველთათვის“, ბაგრატ VI აფხაზთა მეფე გარდაიცვალა 166 ქორონიკონს (=1478 წ. [1]), ხოლო „შემდგომად ბაგრატ მეფისა—ვახუშტისავე ისტორიით—დაჯდა მეფედ ძე ამისი ალექსანდრე.“ [2]), მაგრამ უტყუარის ცნობებით ალექსანდრე გამეფებულა 172 ქორონიკონს (=1484 წ.). ეს მტკიცდება როგორც ქრონიკული ცნობებით [3]), აგრეთვე ერთი 1495 წლის სიგელით, რომელიც ბოძებულია ალექსანდრეს მეფობის მე-12 ინდიქტიონს. [4]) ალექსანდრეს 1484 წ. გამეფების შესახებ ცნობა უპოვია ვახუშტისაც [5]), მაგრამ ვახუშტის ხელთ ჰქონია სხვა ქრონიკული ცნობებიც, რომელთაც მას გზა აურიეს: „ქართლი დაიპყრა კოსტანტინე მეფემან ქრისტესით 1479 ქრონ. 167. კვალად კოსტანტინე მეფე ჯავახეთს მიუხდა და დადიანი თანა ახლდა ქრისტესით 1481. ქრონ. 169.“ [6]). ამ ცნობათა მიხედვით ვახუშტი თავისს „იმერეთის ცხოვრებაში“ მოგვითხრობს: „ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფისა დაჯდა მეფედ ძე ამისი ალექსანდრე და ინება კურთხევა. ამისათვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოანს, არამედ დადიანმან არღარა ინება მოსვლა, ეგრეთვე გურიელმან და სხვათა. იხილა ესე კოსტანტინე მეფემან იმერთა შინა ვითა-

---

[1]) ქართლის ცხოვრება, ტ. II ჩუბინოვის გამოცემა, გვ. 6

[2]) იგივე გვ. 186.

[3]) ქრონიკები, II, 303.

[4]) ქ ონიკები II,გვ. 311 იხ. კიდევ 1509 წლ. სიგელი მე-15 (უნდა 25) ინდიქტიონსა. ქრონიკები II, 327.

[5] უწყებულება, ქ. ცხოვ. II, გვ. 7. შეადარე გვ. 240.

[6] ქ. ცხოვ. II, 7.

რებანი, შეიკრიბნა სპანი და ეზრახა დადიანს, ჩამოვიდა იმერეთს ქრისტესით 1479, ქორონ. 167 და მიერთნენ ყოველნი იმერნი, ვინადგან დადიანსა მიეცა პირი მტკიცე. ამისათვის ვერღარა წინააღუდგა ალექსანდრე და წარვიდა სიმაგრეთა შინა. ხოლო კოსტანტინე მეფემან დაიპყრა იმერეთი, მოერთო დადიანიცა და მისცეს ციხე ქუთათისისა, რამეთუ არა კეთილი იყო ბაგრატის გამო დადიანი ალექსანდრესი, ვინადგან დაამდაბლა ბაგრატ დადიანი. შემდგომად ამისა მოკუდა დადიანი ვამიყ ქს. 1482, ქრ. 170 და დაჯდა ძე შამანდავლე დადიანისა ლიპარიტ დადიანად. მერე კვალად მოკუდა გურიელი კახაბერცა ქს. 1483, ქრ. 171 და დაჯდა ძე მისი გიორგი გურიელად. ამასვე წელსა იძლია კოსტანტინე მეფე ყვარ-ყვარე ათაბაგისაგან. მაშინ შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი ალექსანდრე ძემან ბაგრატ მეფისამან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი ქს. 1484, ქრ. 172, დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი". [7]) ეს კოსტანტინე არის ძე დიმიტრი მეფისა და შვილის-შვილი მეფის დიდი ალექსანდრე I-ისა. ის მართლაც გამეფებულა უტყუარის ცნობებით ქართლში 1478 წ. [8]) ან 1479 წ. [9]), თუმცა, როგორც სჩანს, ტახტის დაჭერამდისაც ის მეფედ იწოდებოდა [10]). ვახუშტი მის მიერ პოვნილ და ზემოდ მოტანილ ქრონიკებში ნახსენებ კოსტანტინე მეფეს სთვლის ამ კოსტანტინედ, დიმიტრის ძედ, ხოლო რაკი ქრონიკაში მოხსენებული ყოფილა კოსტანტინეს გალაშქრება ჯავახეთს დადიანთან ერთად და ალექსანდრეს მიერ ქუთაისის დაჭერა და მეფედ დაჯდომა მხოლოდ 1484 წელს, ამიტომ ვახუშტისაც ფაქტები იმ გვარად დაულაგებია, თითქოს კოსტანტინეს იმერეთი დაეპყრას ქართლიდან და დადიანის

---

[7]) ქ. ცხოვ. II, 187

[8]) ქრონიკები II, 298.

[9]) ქ. ცხოვ. II, 240. იხ. კიდევ სიგელი 1488 წლისა, კოსტანტინეს მეფობის მე-10 წელს დაწერილი.

[10]) სიგელი 1466 წლისა. საქართ. სიძველ. ტ. II, გვ. 20.

ღალატობისა და ორგულობის დახმარებით ალექსანდრე გარდა-ეგდოს.

ახლა ჩვენ გავსინჯოთ, თუ რამდენად მართალია ვახუშ ტის აზრი. 1909 წელს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწ. მამულების ქუთაისის გუბერნიის სამართველოს არქივში გელათის მონასტრის საბუთებთა შორის შემხვდა ერთი ფრიად საყურადღებო სიგელი, რომელიც დიდად დაგვეხმარება ამ კითხვის გარდაწყვეტის დროს. ეს სიგელი (№ 50) დაწერილია კარგს თეთრს ტყავზედ ლამაზის ხელით, 134×22 სანტ. შესდგება 3 გადაკერებულ ნაჭრისაგან. თავი აკლია, ბოლო კიდევ გადასულია. ნიშნებათ იხმარება ოროლი წერტილი. სიგელი ეკუთვნის მეფე ალექსანდრე III-ს († 1 აპრილს 1510 წ.). სიგელში მოხსენებულია სამი შვილი მეფისა, ბაგრატ, ვახტანგ და გიორგი. ამიტომ სიგელი უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს 1503 წლ. (1502 წ. ალექსანდრეს ყავდა მარტო ორი შვილი—ბაგრატ და ვახტანგ [11]), მაშასადამე, 1503—1510 წლებში. მოგაქვს აქ ეს სიგელი სრულიად უცვლელად:

---ად სულისა ჩუენისად და---დიდი მონასტერი გენათი დავადგინეთ საჭბელად და- - მიუბოძეთ მოძღვარ--- ვკადრეთ და მოვახსენეთ ზეშთა აღმატებულსა ცათა მობაძავსა ახალსა მეორესა იელუსალემსა ტაძარსა გელათისასა და მაშიგან ბრძანებულსა ხახულისა და საკურთხევლისა ღთისმშობელსა. თავად მოვჭედე ხატი წმიდისა ღთის მშობელისა და დავაბრძანეთ მონასტერსა გაენათისასა. ვინებეთ სოფლისა აღშენება, რომელ არს ბალახუანი და მოვიღეთ პური საბრძანებელსა ჩუენი დაღმა კახეთით, სამცხით და ოდიშით და აღვაშენეთ დიდსა შიმშილობაშიგან ამისთჳს უწოდეთ ნების სოფელი და შევსწირეთ მონასტერსა გენათისასა და მაშიგანა ბრძანებულსა ხახულისა

---

[11]) საქართ. სიძვ. ტ. II, 516.

და საკურთხევლისა ღთის მშობელსა და მივაბარეთ სასოსა ჩუენსა მოძღვართ მოძღვარსა ილარიონს ჩუენისა სულისა საღაპოდ. არის ბეგარი მათი გამოსაღები ორმოცი თეთრი. ამითი ტძრად მიყუანებასა ჩუენისა სულისათჳს აღაპსა გარდაიკდიდეს მოძღვართმოძღვარი. მიაბარებდენ ოცსა კოკასა ღჳნოსა, სამსა გუერდსა ღომსა, ასსა პურსა, ოცსა თეთრსა მოძღვართ მოძღვარსა მიართმევდენ, ათსა თეთრსა ვინც მს გუედის ჟამსა წირევდეს, მათი მისცემდენ. აგრევე იმავე წესითა ხარებასა მიაბარებდენ. წყალწითელათა აღვაშენეთ სოფელი. ვიყიდეთ იმავე გაენათისა ყმისაგან ნიშნიაძისაგან. ავაშენე და შევსწირეთ ჩუენისა სულისათჳს დიდსა მონასტერსა გენათისასა და მივაბარეთ მოძღვართ-მოძღვარსა ჟამად სადამდის წყალწითელა სოფელი მოძალიადებოდეს და გლეხნი დამაგრდებოდენ, ექუსა ლიტრასა ცვილსა გულითა გამოიღებდენ, ხუთსა ლიტრა ცვილსა ბურჭულაძე გამოიღებდეს მისითა საგულითა. ამა წყალწითელათა გამოღებულთა ცვილზედა ჩუენშით მოძღვართ მოძღვარი შეათავებდეს და კელაპტრად შეიქმოდენ და ჩუესა მოჭედილსა ხატსა წინა ენთებოდეს, დიდსა ორშაბათსა დანთონ და ნებისკვირისა დიდსა ორშაბათამდის ეთებოდე ყოელთა დღეთა ჩუენად სადღიგძელოდ და ძეთა ჩუენთა. კულავე შემოგწირეთ და მოგახსენეთ დიდსა მონასტერსა გაენათსა ჩუენად საღაპოდ კულაშს მეზუთხენი კახაჲორაშვილი ოთხითა ზუთხითა, ასრე რომე ამა ოთხისა ზუთხისაგან თჳთოსა ზუთხსა ჩუენისა სულისა აღპშიგან მოიხმარებდეს, ჩუენისა სულისა აღპშიგან რა საწინამძღრო წირვა მოვიდეს, მოძღვართ მოძღვარმან გვიწიროს ჟამი. აგრევე მოძღვართ მოძღვარო, რაცა ჩუენი აღაპი შემოგკდეს ჩუენისა სულისათჳს პატრონისა დედოფლისა თამარის სულისათჳს და სადღიგრძელოდ ძისა ჩუენისა ბაგრატ, ვახტანგ და გიორგისთჳს:. აწ უკვე ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ სხვავე გლეხნი ვკადრეთ და მოვახსენეთ ზეშთა აღმატებულსა ცათა მობაძავსა მონასტერსა გაენათისასა და მაშიგან ბრძანებულსა ხახულსა და საკურთხევლისა ღთის მშობელსა გლეხნი მოძ-

ღვართ მოძღუარისა მიბარებულნი ჭალას ჭორტიკლის ეული. მართებს ცვილი ლიტრა ო[ც]ი. ესა მარხუისა ნების კუირიაკემდის კმარ იყოს. ამას გარეთ მათებს მოძღვართ მოძღვარსა ჩუნეშს რომე გლეხნი შევწირე მონასტერსა საკელაპტრეთ და მოძღვართ მოძღვარსა მივაბარეთ. არის კუამლი ექუსი ასრე უცილებელი არის და მოუსარჩლელი, მამის ბედის შვილმან ათიანმან(sic)ჭორიტიკელი მოკლა დ მისითა ნებითა დასაურვებლად დამიდვა, მეორმან ასათიანმან ღუღუნასშვილმან ჩუენი სახასო ყმა სალდაყმაძე მოგუიკლა და მისად დასაურვებლად დამიდვა და ჩუენისა სულისათუის გელათსა შევსწირთ და მოძღვართ მოძღვარსა მეკადრსთ მივაბარეთ. მართებს ცვილი ლიტრა ოცი მისითა საგულითა, მისი კელაბტარი შექნან და დიდსა ორშაბათსა ანთონ და იმავე დიდსა ორშაბათამდის ენთებოდეს ყოველთა დღეთა რის მამის ბედიშვილისეული გლეხნი ცხანკილაძე, ჯიქიძე, სამნი ტყამლაძენი და ინაისშვილი ამას გარეთ მესხეთს ბურჭულაძე გიორგი და მისნი შვილნი ნახევარი მეფისა არის და ღოლაბერიძემან ავლად დამიდვა მისითა ნებითა თვალთაძისა სახსრდ. ---ონეთს შვიდნი გლეხნი ახალაძენი მამასბედაი და მამის იმედაი გაბრიელიძე კეთილაი და მისნი შვილნი მამისთვალაი დ როსტევანი დ მისნი შვილნი, ამას გარე ჭალას დოღენაძე,არაბიძე და --- მათსა ბეგარსა გელათ წინამძღვარსა მოართმევდეთ და ვითა ზემო დაგვიწერია იმა წერითა ამაღლებსა აღპსა გუიზემდეთ, ერთი გლეხკაცი გოლოძე ჭყეპს შავე ხორც ---აძესა ნაჭუპები ხუცესი, ასრე რომე ყოველთა --- მარხვათა ჩუენისა სულისათჳს ყმსა გუიწირევდეს ასრე რიგად მოკდეს მისი გუარი ჭუბისი (?) --- იყოს ოცსა თეთრსა, ერთსა ცხვარსა მის--- ურ ღვინოს, ორსა ნაოთხალსა ღომსა, ორსა დორასა ღვინოსა ამას გელათ მიღებდეს ღმრთის მშობლობასა დღისა ჩუენისა სულისათჳს აღაპი იქნებოდეს სხვა ძღვენი, სამსახური და პურისა ჭმევა წინამძღურისათუის მიგვიბარებია. ესე ასრე მოსარჩლელი და მოუდეევარი არის ყოვლისა კაცისაგან, ბიძასა ჩუენსა მეფესა კოსტანტინეს უძუ-

ლოური გაეწირა და ჭილაძისათჳს მიეცა. ჩუენ ასრე ვქენით, ვითა არავინ ღირსიყო ჩუენისა მონასტრისა გაენათისა მამულთა დაჭირვასა, ისრე არა ვკადრფილიყო, ჩუენცა განაღამცა წინამძღვარსავე მივაბარეთ. ამისთჳს ჟორჟოლაძის ეულნი გლეხნი ჩუენად საღაპოდ დავიდევით. ამას გარეთ კულავე ვკადრეთ და მოვახსენეთ დიდიდსა (sic) მონასტერსა გაენათსა, ესეცა წინამძღვრისა საკელოდ მას მივაბარეთ ხიბლასა მეზუთხე ადუსაძე ბიძას თვალას შვილი ნასყიდაი მისნი ძმანი და მისნი შვილნი და მომავალნი მათნი. ესე ასრე მოუდეევარი არის, ნიჟარაძე დემეტრე უშვილოდ გარდაკდა და ესე მეზუთხენი მისეული დაგურჩა და ჩუენ ჩუენისა სულისათჳს გაენათსა შევწირეთ მათითა ბეგრითა, ასრე რომე წელიწადგან ხუთხუთსა ზუთხსა წინამძღვარსა მოაბარებდეს. ესე ჩუენგან შეწირულნი გლეხნი, სოფელნი მამამულინი (sic) და მეზუთხენი სამოძღვართმოძღრო და საწინამძღრო მამათითა მამულითა, საფუძვლითა, ველითა, ვენაკითა, ჭალითა, სახარდნითა, ველთა, საკნავთა, წყლითა, საწისქვილოთა, ტყითა, სანადირეთა, მთითა და ბარითა მისითა მძღუართა სამართლიანითა �orom უკლებლად და უცილებლად მოუდეევარ მოუსარჩლელად ყოვლისა ადამის და ევას ნათესავისა კაცისაგან აწ უკმდე და ვართარხენეთ (sic) და ვათავისუფლეთ ყოვლისა სამეფოსა სათხოვარისაგან და (სა)ჯურუმოსაგან არა ეთხოებოდეს რა სამეფო სათხოვარი და ჯურუმი, არა ძროხა, არა საკლავი, არა ღომი და არა ღვინო, არა საციხისო, და არა საციხონო, არა საჯინიბო და არა სახოსარლო, არა სამზარეულო და არა საყველიერო, არა კვერცხი და არა ყველი, არა გოჭი და არა ქათამი, არა საბაზიერო საჭმელი და არა საქორე ქათამი. არა ულაყი, არა ლაშქრის გამოწვევა ასე შეულათ გვიაზადებია თჳნიერ მოძღვართ მოძღვარსა და წინამძღვარსა მათ მათი საქონებელი ვითა ეპრიანებოდეს იმსახურონ. აწ ეს ჩუენგან ბრძანებული სიგელი მტკიცედა უ - - - მდგომად ჩუენდა მომავალთა მეფეთა და დ - - - და ყოველთა კარისა ჩუენისა

წარჩინებულთა - - - კელისა მქონებელთა და ქუთათისა და ქალაქისა ციხისთავთა და ამირათა ამირათა გორისა და - - - დისა - - - თავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა - - - ერისთავთ ერისთავთა, მოლარეთუხუცე - - თა მეჯინიბეთ უხუცესა და მეჯინიბ - - - მელვინეთა და მესტუმრე - - - [12]).

ამ სიგელიდან სჩანს, რომ ალექსანდრე III აფხაზიმერთა მეფეს ყოლია ბიძა მეფე კოსტასტინე. მართლაც ერთი 1468 წლის სიგელიდან სჩანს, რომ ბაგრატ VI-ს ყავდა ძმა კოსტანტინე [13]). ამიტომ ეხლა ცხადია, თუ რატომ ალექსანდრე III ტახტს იჭერს არა 1478 წ. მამის სიკვდილის შემდეგ, არამედ მხოლოდ 1484 წელს. ბაგრატ VI-ს სიკვდილის შემდეგ აფხაზიმერეთის ტახტზე ასულა ძმა მისი კოსტანტინე, რომელსაც უმეფენია 1484 წლამდის. ვახუშტის არ ქონია ბაგრატ VI-ს მემკვიდრეთა შესახებ მტკიცე ცნობები და ამიტომ ეს კოსტანტინე VI, აქამდის სრულიად უცნობი, მიუღია კოსტანტინე II დიმიტრისძედ, რომელიც იყო ქართლის მეფე და რომელიც მართლაც ცნობილია ჩვენს ისტორიაში. მოკლედ აღწერილმა მისმა ცხოვრებამ ჩვენამდისაც მოაღწია [14]) და ეს ცხოვრება ხელთ ქონია ვახუშტისაც [15]). ცხადია ამიტომ, რომ ვახუშტის დალაგებაც ფაქტებისა უნდა უარყოფილ იქნას. ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ დადიანის და სხვათა განდგომილება კანონიერ მეფისაგან და ქართლის მეფესთან მიკერძვა ვახუშტის უნდა შეეთხზას ერთ ქრონიკულ ცნობის გავლენით, რომელიც ამბობს, რომ 1481 წ. კოსტანტინე მეფე ჯავახეთს მიუხდა და დადიანი თანა ახლდაო. ეს კოსტანტინე ქართლის მეფე რომ ყოფილიყო, მაშინ რასაკვირველია ვახუშტის აზრი ერთად ერთი მი-

---

[16]) ეს სიგელი შეცდომებით და არა სრულად მოაქვს თ. ჟორდანიასაც თავისს ქრონიკებში II, 341—342.

[13]) საქართ. სიძველ. II, 40.

[14]) მ. ჯანაშვილის ნაშრომი I, 37—41.

[15]) ქ. ცხ. II, 12—15.

საღები იქნებოდა. მაგრამ რაკი ახლა ვიცით, რომ 1478—1484 წლებში აფხაზ-იმერეთის სამეფოს განაგებდა კოსტანტინე VI, ძმა ბაგრატ VI-სი, ცხადია ქრონიკაში მოხსენებული კოსტანტინე აფხაზთ-იმერეთის მეფე ყოფილა. საგულისხმოა, რომ მეფეს ამ ღაშქრობის დროს დადიანიც თანა ხლებია. დადიანები ამ დროს და შემდეგაც მე-XVI საუკუნის ნახევრამდის აფხაზეთის მეფეების დამოკიდებულობის ქვეშ იყვნენ და თითქმის ყველა დადიანი ამ დროისა ატარებდა მანდატურთ-უხუცესის ღირსებას. რაკი ჯერ კიდევ ეს დამოკიდებულება არც თუ ისე სუსტი იყო, ამიტომ უბრალო სამართლიანობის თვალსაზრისით უფრო უპრიანია, დადიანი სალაშქროთ თავის ბუნებრივ მეფეს—კოსტანტინე VI-ს გაყოლოდეს.

ამ გვარად ამ ახალ მეფის—კოსტანტინე VI-ს გამოჩენას შესამჩნევი ცვლილება შეაქვს ჩვენს ისტორიაში მაშინდელ ისტორიულ ფაქტების დალაგების მხრივ.